ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი
„თერჯოლის სახელოვნებო განათლების,
კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრი“

წერილის ნომერი: **13-282333478**
თარიღი: **30/11/2023**

ადრესატი: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ მანუჩარ რობაქიძეს

წარმოგიდგენთ ა(ა)იპ თერჯოლის სახელოვნებო განათლების,კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრის მიერ გაწეულ ანგარიშს 2023 წლის იანვრიდან დღემდე. ცენტრის შემადგენლობაში შემავალი ხუთი ფილიალიდან (საჯარო ბიბლიოთეკა,კულტურის სახლი,სამუსიკო სკოლა, სამხატვრო სკოლა,თერჯოლის მუზეუმები და ტურიზმის მიმარულების სამსახური) თითოეულს თავისი ღირსეული წვლილი შეაქვს თერჯოლის მუნიციპალიტეტის კულტურული სფეროს განვითარებაში.

საჯარო ბიბლიოთეკა დირექტორი: ლალი ცქიფურიშვილი

თერჯოლის საჯარო ბიბლიოთეკა 2023 წლის იანვრიდან დღემდე მოემსახურა 3200 მკითხველს და მომხმარებელს. მოეწყო სხვადასხვა სახის ღონისძიებები.

ღირშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით;კითხვის დღესთან დაკავშირებით,დედის და ქალთა დღესთან დაკავშირებით,დედაენის დღესთან-ლიტ.საღამო,პოეზიის საღამო და სხვა. ბიბ-კას სისტმურად სტუმრობენ საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეები-ეცნობიან წიგნად და მომსახურეობის ფორმებს ბიბ-კაში,წელს „მზეკაბანი 2007“, თერჯოლის მე-2 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის მოსწავლეები სტუმრობდნენ ბიბ-კას.

მიმდინარეობს მკითხველ ჯგუფებთან მუშაობა მათი ინტერესის მიხედვით. ხდება ასევე ახალი ლიტ-ის შეძენა მოთხოვნების შესაბამისად. ეწყობა ახალი ლიტ-ის ბიბლიოგრაფიული განხილვები. მუშავდება ახალი ლიტ-რა, დგება ელ. კატალოგია. ტარდება ასევე ინტერესის მიხედვით კინო-ჩვენებები. მიმდინარეობს ერთიანი ფონდის ინვენტარიზაცია და გაწმენდა. ღონისძიებები ტარდება აქტიური მკითხველების მონაწილეობით.

ფილიალის შემადგენლობაში შედის სამი სასოფლო ბიბლიოთეკა: სიქთარვა, ჭოგნარი და ახლად გახსნილი ქვ. სიმონეთის ბიბლიოთეკა. აღნიშნული ბიბლიოთეკები თავიანთი წიგნადი ფონდით სათანადოდ ემსახურებიან სოფლის მკითხველებს და ღირშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით ატარებენ ღონისძიებებს.

პრობლემად რჩება სასოფლო ბიბ-კების (გაუქმებული) წ/ ფონდების საკითხის მოგვარება, ეს სოფლებია: თუზი, ჩხარი, ზ. სიმონეთი, ჯვახჭირი, გოდოგანი. სულ შეადგენს 27000 ეგზ. საჯარო ბიბ-კის წ/ფონდი მომსახურების განყ-ბაში შეადგენს 28000 ეგზ. საბავშვო განყ-ბაში 15000ეგზ, ერთიანი ფონდების განყ-ბაში 32000 ეგზ,

მოქმედ სას. ფილიალებში; სიქთარვა , ჭოგნარი, ქვ. შიმონეთი-13000 მდე ეგზ.

თერჯოლის საჯარო ბილიოთეკის საბავშვო განყოფილება მუშაობას წარმართავს წინასწარი შედგენილი წლიური სამუშაო გეგმის საფუძველზე. ბიბლიოთეკა ემსახურება ასაკობრივი ჯგუფის ბავშვებს. 2023 წლის იანვრიდან დღემდე ბიბლიოთეკა მოემსახურა 838 მკითხველს და გაიცა მათზე 15782 წიგნი. მიმდინარეობდა მასობრივი მუშაობა ბავშვებთან, ზღაპრის კითხვის დღე, ახალი წიგნის გამოფენა და ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები. იანვრის თვეში ჩატარდა ღონისძიება „ჩემი პირველი ნაბიჯები ბიბლიოთეკაში“. სადაც მონაწილეობდა ჩხარის საჯარო სკოლის პირველი კლასის მოსწავლეები. 8 თებერვალს „დავით აღმაშენებლის“ დღესათნ დაკავშირებით ჩატარდა ღონისძიება, სადაც მონაწილეობდა სიქთარვის საჯარო სკოლის მოსწავლეები. მარტში დედის დღესთან და ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მოეწყო ღონისძიება „გაზაფხულზე სიყვარული მოვა“. მონაწილეობდნენ კერძო სკოლის „მზეკაბანი 2007“ მეოთხე კლასის მისწავლეები. 14 აპრილს კი ქართული ენის დღეს მიეძღვნა ღონისძიება „ო,ენავ ჩემო“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო პირველი საჯარო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეებმა, თავასის თუზის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა წარმოადგილეს ღონისძიება „საქართველოს დამოუკიდებლობის დღე“. პირველ ივნისს აღინიშნა „წმინდა ნინოს შემოსვლა საქართველოში“ და „ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე“, რომელშიც პირველი საჯარო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეები მონაწილეობდნენ. დიდი ქართველი მოღვაწის იაკობ გოგებაშილის დაბადების დღესთან და მოსწავლეების დღესთნ დაკავშირებით 27 ოქტომბერს ჩატარდა ღონისძიება „ერის დიდი მოამაგე“, რომელშიც თერჯოლის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეები და კერძო სკოლა „მზეკაბანი 2007“ პირველ კლასელები მონაწილეობდნენ.

ასევე დაგეგმილია ღონისძიებები ნოემბერში „გალაქტიონ ტაბიძის დაბადების დღე“ და ჩატარდება დეკემბერში „საშობაო ზღაპარი“-„თოვლის პაპის დაბრუნება“, სადაც მონაწილეობას მიიღებენ საბავშვო ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველები.

სამხატვრო სკოლა დირექტორი: თამარ ღარიბაშვილი

დედის დღისადმი მიძღვნილი გამოფენა-6 მარტი.

დედაენის დღისადმი მიძღვნილი გამოფენა-12 აპრილი.

ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება-1 ივნისი

შემაჯამებელი გამოფენა - 15ივნისი

თერჯოლობასთან მიძღვნილი გამოფენა-22 ოქტომბერი

საშემოდგომო გამოფენა -22 ნოემბერი

საახალწლო გამოფენა -27 დეკემბერი.

ვაჟა კუბლაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა დირექტორი: ვალერიან კუბლაშვილი

სამუსიკო საგანმანათლებლო სკოლაში სწავლება მიმდინარეობს შემდეგ განყოფილებებზე: საფორტეპიანო, გიტარის, სოლო სიმღერისა და ხალხურ საკრავთა შემსწავლელ განყოფილებებზე. სამუსიკო საგანმანათლებლო სწავლებას ეუფლება სულ 186 მოსწავლე. აქ ჩატარდა:

1. საგაზაფხულო კონცერტი პირველი კლასის მოსწავლეთა მონაწილეობით(მარტის თვეში).

2. ბავშვთა და მოზარდთა სახელოვნებო ეროვნულ კონკურს-ფესტივალში

„მომავლის ვარსკვლავები 2023“ მონაწილეობა, სადაც გამოდიოდა ჩვენი სკოლის სოლო სიმღერის მოსწავლეები და სკოლის გაერთიანებული გუნდი.(პედაგოგები: გულთამზე კუბლაშვილი და რამაზი მემანიშვილი), რომელიც ჩატარდა ქ. ზესტაფონში.

3. ფესტივალში „მომავლის ვარსკვლავები 2023“ გამარჯვებულმა სოლო სიმღერის განყოფილების მოსწავლემ ნინო კუბლაშვილმა სკოლის გაერთიანებულმა გუნდმა მონაწილეობა მიიღეს ქ. თბილისში გალა-კონცერტში.(პედაგოგი: გულთამზე კუბლაშვილი და რამაზ მემანიშვილი)(აპრილი) დაჯილდოვდნენ დიპლომებითა და მედლებით.

4. ჩატარდა ქართული მუსიკის საღამო კონცერტი(აპრილი).

5. საგაზაფხულო ფესტივალი „ბზობა“, რომელიც ჩატარდა ქ. თბილისში მონაწილეობა მიიღო ჩვენი სკოლის გაერთიანებულმა გუნდმა(პედაგოგი: გულთამზე კუბლაშვილი და რამაზ მემანიშვილი) აპრილის თვეში დაჯილდოვდნენ დიპლომებითა და მედლებით.

6. ქ. ქუთაისში ჩატარდა ფესტივალი „იმერეთის ხმა“, სადაც მონაწილეობდნენ სოლო სიმღერის განყოფილების მოსწავლეები; ნინი კუბლაშვილი და მარიამ გვენეტაძე, აგრეთვე გაერთიანებული გუნდი (პედაგოგი: გულთამზე კუბლაშვილი და რამაზ მემანიშვილი)(მაისის თვე).

7. ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საანგარიშო კონცერტი (მაისის თვე).

8. პედაგოგების: გულთმზე და ვალერიან კუბლაშვილების, გიული გრძელიშვილისა და მერი ჯიშკარიანის მიერ ჩატარებული იქნა თავიანთი მოსწავლეების კლასის კონცერტი(ივნისის თვეში).

9. სახალხო დღესასწაული „თერჯოლობა“-ზე მონაწილეობა მიიღეს საფორტეპიანო განყოფილების მოსწავლეებმა:თინათინ ბუცხრიკიძემ(პედ: მერი ჯიშკარიანი) მარიამ გურულმა(პედ:გიული გრძელიშვილი), ლანა კუბლაშვილმა(პედ:შორნა არაბიძე) და სოლო სიმღერის განყოფილების მოსწავლემ მარიამ გვენეტაძემ, აგრეთვე სამუსიკო სკოლის გაერთიანებულმა გუნდმა(პედ: გულთამზე კუბლაშვილი და რამაზ მემანიშვილი) (ოქტომბერი).

10. გიორგობის დღისადმი მიძღვნილ ფესტივალში, რომელიც ჩატარდა ქ. თბილისში მონაწილეობა მიიღო გაერთიანებულმა გუნდმა (პედ:გულთამზე კუბლაშვილი და რამაზ მემანიშვილი) (ნოემბერის თვე). აიღეს რესპუბლიკის მაშტაბით პირველი ადგილი და დაჯილდოვდნენ პირველი ხარისხის დიპლომითა და მედლით.

11. ჩატარდა ეტიუდების კონკურსი მე-3 მე-4 კლასის მოსწავლეთა მონაწილეობით. (ნოემბრის ბოლოს).

კულტურის სახლი დირექტორი: ლია ბუსკივაძე

კულტურის სახლში ფუნქციონირებს ოთხი ანსამბლი(მასპინძელო, იამე, იმერეთი და ცეკვის ქორეოგრაფიული ანსამბლი იმერეთი)

ანსამბლი „იამე“

ზესტაფონში ჩატარდა ქართული ლირიული სიმღერის ტრადიციული ფესტივალი „სულიკო“ 2023 წ. პირველი ადგილი 22 სექტემბერი.

ბათუმი „კასტელო მარე“ გალ კონცერტზე, რომელიც გაიმართა მსოფლიოში ცნობილი ჟიურისა და მოწვეული სტუმრების პატივსაცემად 1 ოქტომბერი.

5 ოქტომბერს გაიმართა ქ. ქუთაისში პოეტ ანა ლორთქიფანიძის პოეზიის საღამო.

9 ოქტომბერს ქ. საჩხერეში ქართული საგალობლების ფესტივალზე, სადაც დავიმსახურეთ ჟიურისა და მაყურებლის განსაკუთრებული მოწონება.

22 ოქტომბერს გაიმართა სახალხო ზეიმი „თერჯოლობა“.

18 ნოემბერი ბათუმი „კასტელო მარე“ ნარინჯისფერი ფესტივალი, სახელად „მანდარინობა“

ასევე მონაწილეობდნენ რაიონის ყველა თემატურ ღონისძიებებზე.

ანსამბლი „იმერეთი“

22 ოქტომბერი სახალხო ზეიმი „თერჯოლობა“

მუშაობს ახალ რეპერტუარზე და მზადება ანსამბლის იუბილესთან დაკავშირებულ ღონისძიებისთვის.

ანსამბლი „მასპინძელო“

გაიმართა ლაშა გოგიაშვილის სახელობის სკვერის გახსნასთნ დაკავშირებით მიძღვნილი ღონისძიება (27 ივლისი)

არტ-გენის ფესტივალი(27 ივლისი)

ფოლკლორის ფესტივალი

მიწვევა პოსტ ალიონზე

მიწვევა უკრაინის საქველმოქმედო საერთაშორისო ფესტივალზე.

„თერჯოლობა“ 22 ოქტომბერი.

ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმერეთი“

ქალთ საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება

არტ-გენის ფესტივალი 27 ივლისი

სერბეთში გამართული საერთაშორისო ფოლკლორული ფესტივალი 6 აგვისტო

„თერჯოლობა“ 22 ოქტომბერი.

დავით და სერგო კლდიაშვილების სახლ -მუზეუმი

2023 წლის იანვრიდან დღემდე მიღებული გვყავს 131 ორგანიზებული ჯგუფის 2601 პირი : 46 ინდივიდუალური ჯგუფის 291 პირი.

სამუზეუმო ფონდებს შეემატა 1 ექსპონატი და 3 სურათის ასლი. განახლდა ეზო, ინფრატრუქტურა, ხის მაგიდა ჩანაცვლდა ქვის მაგიდით. ხელახლა რესტავრირდა და აღდგა თოვლისგან დანგრეული სამზადი სახლი. მუზეუმში ჩატარდა რამოდენიმე ღონისძიება, მოეწყო პოეზიის ორი საღამო და შეხვედრა პოეტებთან. გაფორმდა მეგობრობის მემორანდუმი ქ.ქუთაისის ქალთა კლუბთან და მოეწყო მიღება მუზეუმის ეზოში. ვუმასპონძლეთ ტოლერანტობის დღის აღნიშვნას. მოეწყო შეხვედრა დრამატურგ რეზო კლდიაშვილთან და ჩაიწერა ტელეგადაცემისათვის სიუჟეტი.

ასევე გაიმართა მწერალ გიზო თავაძის საღამო ქ.ქუთაისის ქალთა კლუბთან ერთად. დავით და სერგო კლდიაშვილების სახლ-მუზეუმში თბილისის ეთნოგრაფიული

მუზეუმისა და „გლობალ თეატრის“ მონაწილეობით სპექტაკლი „დარისპანის გასაჭირი“ გაიმართა.

24 აპრილს ტრადიციულად ხალხმრავლობითა და სტუმრიანობით ავღნიშნეთ დავითის ხსოვნის დღე. მესხიშვილის თეატრის მსახიობი, ქალბატონი მარიკა სამანიშვილი და ბარდუბნის მეორე საჯარო სკოლის მოსწავლეები (დირექტორი:გულო სულამანიძე) მუზეუმის საპატიო სტუმრები იყვნენ.

შალვა და პეტრე ამირანაშვილების სახლ-მუზეუმში მიიღეს 14 ექსკურსიის 156 პირი. განახლდა სანიტარული კვანძი.

ტურიზმის მიმართულების ანგარიშს წარმოგიდგენთ დანართის სახით.

სოსო დევიძე

თერჯოლის სახელოვნებო განათლების, კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრი-დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი